

## რამდენიმე უცხო ტერმინისათვის თანამედროვე ქართულში

ქართული ენის ლექსიკა ყოველდღიურად ივსება უცხო ცნებების აღმნიშვნელი სიტყვებითა თუ გამოთქმებით, აგრეთვე – სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიით, რომელთაგანაც ბევრი ლექსიკური ერთეული ბარბარიზმს წარმოადგენს, ზოგი კი ენაში არასწორი დაწერილობით მკვიდრდება.

განვიხილავთ რამდენიმე მათგანს:

**ბორდი** – ეს სიტყვა ინგლისურში შესულია გერმანულიდან, ხოლო გერმანულში – ფრანგულიდან.

ოქსფორდის ლექსიკონში სიტყვა **ბორდი** დასახელებულია ყველაზე ხშირად გამოყენებულ ათას ლექსიკურ ერთეულს შორის.

ინგლისურში **ბორდს** რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: 1. ხის ან სხვა მყარი მასალის გრძელი, თხელი ნაჭერი, რომელიც გამოიყენება სამშენებლო მიზნებისათვის; 2. განცხადებების დაფა; სპეციალურად გამოყოფილი ადგილი სცენაზე; 3. გადაწყვეტილების მიმღები ორგანო (ადამიანთა ჯგუფი); 4. ტრანსპორტში ჩაჯდომა (როგორც სახელზმნა); 5. რეგულარული კვებით უზრუნველყოფა რაიმე მომსახურების სანაცვლოდ (ასევე სახელზმნის ფუნქციით).

თანამედროვე ქართულში **ბორდი** ყველაზე ხშირად გამოიყენება მესამე მნიშვნელობით: გადაწყვეტილების მიმღები ორგანო, უფრო მეტიც – ამ მნიშვნელობით ის (სიტყვა **ბორდი**) ძირითადად ტელევიზიის სამეთვალყურეო საბჭოს აღსანიშნავად დასტურდება, მაგალითად: „იმ ყველაფრის შინაარსი, რასაც ტელევიზიის დღევანდელი **ბორდი** ამბობს, ჩემთვის სრულიად მისაღებია“<sup>1</sup>; ან კიდევ: „ეს უკვე ვეღარ შევა **ბორდის** ფუნქციებში – აბა, ტელევიზიის საბჭომ რაღა ქნას?“, „ახალი **ბორდი** ტელევიზიას ვერ გარდაქმნის, ხვალ გაირკვევა **ბორდის** წევრები“; „ამასაც **ბორდს** ნუ დავავალებთ, ტელევიზიამ გადაწყვიტოს“ და ა. შ.

<sup>1</sup> აქაც და ყველა სხვა შემთხვევაში დაცულია ავტორთა სტილი.

ვფიქრობთ, ყველა კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლებელია „სამეთვალყურეო საბჭოს“ გამოყენება (ან კიდევ: სათათბირო, საფიხვნო).

ძალზე იშვიათად, მაგრამ მაინც **ბორდი** თანამედროვე ქართულში დასტურდება მეორე მნიშვნელობითაც – განცხადებების დაფა, მაგალითად: „ორი **ბორდი** იყო გამოკრული“; „ძალიან დიდი **ბორდი** იყო ჩამოკიდებული“...

ვფიქრობთ, ორსავე შემთხვევაში **ბორდი** ბარბარიზმს წარმოადგენს.

**დრესკოდი** – ეს სიტყვა პირველად გამოიყენებოდა დიდ ბრიტანეთში, შემდეგ ის სწრაფად გავრცელდა მთელ მსოფლიოში. ყველაზე ხშირად აღნიშნულ სიტყვას იყენებენ ამა თუ იმ ოფისში ტანსაცმლის ტარების წესების აღსანიშნავად. თუმცა **დრესკოდი**, ზოგადად, ტანსაცმლის ტარების წესებს ნიშნავს, დამოკიდებულს ადამიანთა სოციალურ კლასზე, საქმიანობის სახეობაზე, რელიგიაზე, სექსუალურ ორიენტაციაზედაც კი.

ამა თუ იმ კომპანიის დრესკოდი წარმოადგენს ფირმის კორპორაციული კულტურის უშუალო გაგრძელებას, მისი ბრენდის თუ რეკლამის მთავარ ნაწილს, რადგანაც ორგანიზაციისადმი მომხმარებლის დამოკიდებულება იწყება მისი ნდობით თანამშრომლებისადმი, რომელთა გარეგნულ იერსა და აღჭურვილობას გადაამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამ თვალსაზრისით, შესაბამისად, **დრესკოდი** შექმნილია არამარტო თანამშრომლების, არამედ მომხმარებელთათვისაც – მათი ნდობის მოსაპოვებლად და ამავდროულად კომპანია-ფირმის წარმატებული საქმიანობისათვის.

ოქსფორდის ლექსიკონის მიხედვით „დრესკოდი“ ნიშნავს დაწერილ და გამოქვეყნებულ წესებს, რომლებიც მიუთითებს ჩაცმის სტილსა და მანერაზე სკოლაში, ოფისში, კლუბში, რესტორანში, საქმიან შეხვედრასა თუ დღესასწაულზე.

თანამედროვე ქართულშიც სიტყვა **დრესკოდი** გამოიყენება პროფესიული ჩაცმულობის სტილის აღსანიშნავად, მაგალითად: „პროდიუსერების **დრესკოდი** შორტები ან ჯინსებია“; „შოუ ახალი **დრესკოდით** გაფორმდა“; „ყველა **დრესკოდი** იყო გამოფენილი“...

სიტყვა **დრესკოდი**, ვფიქრობთ, ბარბარიზმს წარმოადგენს. უნდა ვთქვათ: **ჩაცმის სტილის** ან **მანერა**, ან კიდევ – **ჩაცმულობა** (თუ მაინც საჭირო გახდება **დრესკოდის** დამკვიდრება **ჩაცმის სტი-**

**ლის** აღსანიშნავად, რასაკვირველია, ის უნდა დაიწეროს ერთად და არა დეფისით – როგორც, ჩვეულებრივ, წერენ ხოლმე).

**ლიზინგი** – ამ სიტყვის არქაული მნიშვნელობაა მოტყუება, ფალსიფიცირება (მარიამ ვებსტერის ლექსიკონი).

ოქსფორდის ლექსიკონში **ლიზინგი** განმარტებულია – როგორც ხელშეკრულება, რომლის საშუალებითაც ერთი მხარე გარკვეული დროით სარგებლობაში გადასცემს მეორეს მიწას ან რაიმე სახის მომსახურებას, როგორც წესი, პერიოდული გადახდის რეჟიმით.

სიტყვა **ლიზინგი** გვიანდელ საშუალო ინგლისურში ფრანგულიდან არის შესული მნიშვნელობით – „დაუტოვე“; ფუძე ლათინურია და ნიშნავს „დაკარგვას“.

თანამედროვე ქართულში **ლიზინგი** გამოიყენება შემდეგი მნიშვნელობით: ქონების გადაცემა შემდგომი თანდათანობითი შესყიდვით; გვხვდება შესაბამისი ბარბარიზმითაც – „პოსლეზე“; შდრ.: **იჯარა** – უძრავი ქონების (შენობის, მიწის...) დროებითი დაქირავება სათანადო ხელშეკრულების დადებით.

სიტყვა **ლიზინგი** თანამედროვე ქართულში ფაქტობრივად დამკვიდრებულია და მისგან სხვა ლექსიკური ერთეულიც (სალიზინგო) არის ნაწარმოები, მაგალითად: „**ლიზინგი** მნიშვნელოვანი ფინანსური პროდუქტია საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის, რადგან დღეს ბიზნესში სახსრების მოზიდვა მხოლოდ საბანკო სესხების მეშვეობით ხდება, სადაც განსაზღვრული პროცენტები და პირობები მოქმედებს. **სალიზინგო** კომპანიების მომსახურება კი მეწარმეებსა და ბიზნესმენებს საშუალებას აძლევს, ყოველგვარი გირაოს ჩადების გარეშე, იჯარით აიღონ მათთვის საჭირო სხვადასხვა მანქანა-დანადგარები (ავტომობილები, საოფისე თუ საწარმოო ტექნიკა) და ღირებულება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ნაწილ-ნაწილ გადაიხადონ“; „**სალიზინგო** კომპანიების მომსახურებით სარგებლობის საშუალება საქართველოში დღეისათვის უკვე არსებობს. ქვეყანაში ორი **სალიზინგო** კომპანია მუშაობს, რომლებიც ახლო მომავალში თავისი საქმიანობის გაფართოებას აპირებენ. ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ ახალი ბიზნესის მიმართ კერძო სექტორში საკმაოდ დიდი დაინტერესება არსებობს. ახლო მომავალში არსებულ **სალიზინგო** კომპანიებს, სულ მცირე, კიდევ სამი კომპანია შეემატება. საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია კი საქართველოს ბიზნესის განვითარების პროექტის ფარ-

გლებში ქვეყანაში **სალიზინგო** მომსახურების დანერგვასა და **ლიზინგის** განვითარებაზე მუშაობს, რაც **სალიზინგო** კომპანიების ამოქმედების ხელშეწყობასაც გულისხმობს. საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტი კანონმდებლობაში **ლიზინგის** შესახებ ცვლილებებსაც ამუშავებს. ეს ცვლილებები მიმართულია **ლიზინგის** სერვისის მაქსიმალურად ეფექტური გამოყენებისთვის“; „ფრენკ ლივერსის განცხადებით, **ლიზინგი** მთელ მსოფლიოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის აუცილებელ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სექტორად და საბანკო კრედიტის ალტერნატიულ საშუალებად მიიჩნევა. რაც შეეხება უშუალოდ საქართველოში მის დანერგვას, პროექტის ხელმძღვანელის თქმით, ეს ტექნიკური დახმარების პროექტი გახლავთ და მისი მიზანია, დაინტერესებულ წრეებს გააცნოს ქვეყნისთვის სრულიად ახალი ფინანსური ინსტრუმენტის – **ლიზინგის** გამოყენების დეტალები“; „განიხილება ისეთი საკითხები, როგორცაა **სალიზინგო** კონტრაქტის თავისებურებები, ბუღალტრული აღრიცხვა, საკანონმდებლო ბაზის ნიუანსები, **სალიზინგო** კომპანიის პორტფელის დივერსიფიკაცია, **ლიზინგის** ფინანსური ანალიზი და სხვ. პარალელურად ბიზნესის განვითარების პროექტი საქართველოში ფართომასშტაბიან კვლევას ატარებს ქვეყანაში **ლიზინგის** ბაზრის მოცულობისა და ამ ფინანსურ პროდუქტზე არსებული მოთხოვნის დასაანერგად“; „პროექტი საქართველოს 11 რეგიონში 794 კომპანიას გამოკითხავს. კვლევის შედეგები დაადგენს მოთხოვნას ძირითადი საშუალებების ტიპისა და სექტორის მიხედვით **ლიზინგის** კონტექსტში. ასეთი მასშტაბური კვლევა **ლიზინგის** დარგში პირველად ტარდება. მისი შედეგები დიდად წაადგება **ლიზინგით** დაინტერესებულ უცხოელ ინვესტორებს, ხოლო **სალიზინგო** კომპანიებს საკუთარი სტრატეგიის განსაზღვრაში დაეხმარება. ყოველივე ეს კი ხელს შეუწყობს საქართველოში ბიზნესის განვითარებას“; „**ლიზინგი** საბანკო სესხის ალტერნატიული ფორმაა. **ლიზინგი**, როგორც საწარმოთა ფინანსირების ახალი პროდუქტი, დიდად წაადგება ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საქმეს. **ლიზინგი** მცირე და საშუალო ზომის, აგრეთვე, სასტარტო ეტაპზე მყოფი საწარმოთათვის ფინანსირების მეტად ხელსაყრელ ფორმას წარმოადგენს. იგი საჭიროებს გრძელვადიან საკრედიტო ისტორიას და საშუალებას იძლევა, იმ მომენტისთვის ნაკლები დროითი და ფულადი დანახარჯების მეშვეობით გაზარდოს საწარმოს წარმადობა“.

როგორც წარმოდგენილი კონტექსტებიდან ჩანს, **ლიზინგი** გარკვეული ტიპის ფინანსური პროდუქტია, კერძოდ: ყიდვა-შემდენა მოგვიანებითი ანგარიშსწორებით. ვფიქრობთ, **ლიზინგი** – როგორც ტერმინი (ზემოაღნიშნული ფინანსური ოპერაციების გამოსახატავად) – სავსებით მისაღებია (რაც მთავარია, უკვე დამკვიდრებულია).

**ლოჯისტიკა** – ამ სიტყვას ოქსფორდის ლექსიკონის მიხედვით ორი მნიშვნელობა აქვს: 1. ჯარის მოძრაობის, განთავსებისა და აღჭურვილობის ორგანიზება (აქტივობა); 2. მომხმარებლისათვის საქონლის მიწოდება-ტრანსპორტის კომერციული აქტივობა.

**ლოჯისტიკა XIX** საუკუნის ინგლისურში შესულია ფრანგულიდან მნიშვნელობით – „მოთავსება“, „შეტანა“.

თანამედროვე ქართულში სიტყვა **ლოჯისტიკა** გამოიყენება მომხმარებლისთვის საქონლის მიწოდება-ტრანსპორტირების მნიშვნელობით, მაგალითად: „ცხინვალში ყველა ტყვია-წამალი მიდიოდა დროზე, მთელი სამხედრო **ლოჯისტიკა** აწყობილი იყო სწორად“; „ზოგს შეუძლია თვითმფრინავის ეკიპაჟობა გასწიოს, ზოგს მხოლოდ ის შეუძლია, ჯარისკაცს წინდები მიაწოდოს, ამაზე მთელი **ლოჯისტიკა** უნდა მუშაობდეს“; „საკომუნიკაციო და ჰიდროენერგეტიკის სფეროები, ტურიზმი, ტრანსპორტი, **ლოჯისტიკა**, ეკოლოგიურად სუფთა კვება – ესენია ეკონომიკის ის დარგები, რომლებშიც ინვესტიციები უფრო მეტადაა“; „ცხადდება ვაკანსია **ლოჯისტიკის** სპეციალისტზე“; „ამ სფეროში **ლოჯისტიკის** სპეციალისტები აუცილებელია“ და სხვ.

როგორც ჩანს, **ლოჯისტიკა** ყველა შემთხვევაში ნიშნავს კომპლექსური ოპერაციების დეტალურ ორგანიზებასა და განხორციელებას. მას ზუსტად შეესაბამება კომპოზიტი **დაგეგმვა-განხორციელება**, თუმცა ამ შემთხვევაშიც დასახელებული ლექსიკური ერთეული ფაქტობრივად უკვე ტერმინად არის დამკვიდრებული.

## ლიტერატურა

**ქეეკი** – ქართული ენის ეროვნული კორპუსი:

<http://gnc.gov.ge/gnc/simple-query?corpus=grc>

<http://gnc.gov.ge/gnc/static/portal/gnc.html>

<http://gnc.gov.ge/gnc/concordance>

<http://www.oxforddictionaries.com/definition/english/portfolio?q=Portfolio>

<http://www.merriam-webster.com/dictionary/Portfolio>

Tamar Vashakidze, Tamar Makharoblidze

### **On Several Foreign Terms in Modern Georgian**

#### Summary

The Georgian language vocabulary is filled with words and expressions denoting new concepts and also with the terminology of different fields many of which are barbarisms while others establish with the wrong spelling in the language.

The paper deals with the foreign words – a board, a dress code, leasing and logistics. A board and a dress code are considered to be barbarisms while leasing and logistics are terms.